II

ცასწავლა

მეტნაკლებად ყველას აქვს ცაში წასვლის სურვილი. პოეტები ვარსკვლავებს უმღერიან, ხეებიც ზეცას შეჰღაღადებენ. ყველას, ყველას აქვს ზეცაში ამაღლების სურვილი, მათ შორის პატარა ცისფერთვალა ჩიტსაც, რომელსაც ცასწავალას ეძახიან.

ცასწავალა ერთი აყვავებული მთის ფერდობზე ცხოვრობდა და ცაში მაღლა აფრენის სურვილი არ ასვენებდა. ამიტომაც ერქვა ეს სახელი. ასე სჩვეოდა ხოლმე: ბალახიდან ამოფრინდებოდა, ცაში აიჭრებოდა და თან წკრიალა ხმით იძახდა: „ცას წავალ! ცას წავალ!“ ამ დროს ყველა მას შესცქეროდა: გუთნის ჩიტები, ჩხიკვები, ორბები. ყვავილებიც კი იშმუშნებოდნენ. ასე იფრენდა ერთხანს, რაღაც ზღვარს მიაღწევდა, ღონე გამოეცლებოდა, ისევ დაბლა დაეშვებოდა და ბალახებში გაუჩინარდებოდა.

ბალახებში ჩავარდნილი ახლა ამას იძახდა: „ვტყუი, ვტყუი!“ ამით თავის უღონობას მალავდა, რათა სხვებს არ გაეგოთ, რომ ცაში წასვლა არ შეეძლო. ფრთოსნებმა ითმინეს, ითმინეს და ბოლოს საწყენად მიიღეს ეს ამბავი. გადაწყვიტეს, სასამართლო მოეწყოთ ამ თავხედი ჩიტისთვის.

მიმინოებმა ცასწავალა გაკოჭეს და გორაზე შეკრებილ ფრთოსნებს მიჰგვარეს. მოსამართლე ყვავმა კითხვები მიაყარა: „ვინ გყავს ცაში? იქ ვინ გეპატიჟებოდა? ურცხვად რატომ გვატყუებ მთელი დღე?“ ცასწავალა მორჩილად ისმენდა ბრალდებას და უარყოფის ნიშნად მხოლოდ თავს აქნევდა. ბოლოს ფრთოსნებმა ცასწავალას ერთი დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ბაბუაწვერაზე თოკით მიაბეს და დაიშალნენ. მხოლოდ მოლაღური შემორჩა იმ ადგილს, კარგა ხანს იდგა დაფიქრებული, მერე ცასწავალას ფოთლები დააფარა, ღამით რომ არ გაყინულიყო და მელას არ შეეჭამა. შემდეგ თვითონაც გაფრინდა.

მეორე დღეს ისევ შეიკრიბნენ ფრთოსნები და ცასწავალა გაათავისუფლეს. იგი ჯერ უგონოდ დაეცა, ეტყობოდა, ფრთები ეტკინა. მოლაღურმა ნისკარტით წყაროს წყალი მიუტანა. ცასწავალას პირობა ჩამოართვეს, რომ აღარასოდეს აფრინდებოდა მაღლა ცაში და არ მოიტყუებდა. მაგრამ წავიდ-წამოვიდნენ თუ არა ფრთოსნები, ცასწავალამ ცოტა დაისვენა, შემდეგ ფრთები გაშალა და ცაში აიჭრა: „ცას წავალ! ცას წავალ!“ – იძახდა და მაღლა და მაღლა

LIVEWORKSHEETS

მიიწევდა. გასცდა იმ ზღვარს, სადამდისაც ადრე მიდიოდა ხოლმე. ამ ამბის შემდეგ ტყეში ცასწავალა აღარავის უნახავს.

გოდერძი ჩოხელი, „ცასწავალა“
(ადაპტირებული ვარიანტი)

1. რატომ ერქვა ცისფერთვალა პატარა ჩიტს ცასწავალა?

---

2. მე-2 აბზაციდან ამოწერე ის სიტყვები, საიდანაც ჩანს, რომ ცასწავალა მაღლა ცაში ფრენით იღლებოდა:

---

3. მე-2 აბზაცში ვკითხულობთ: „გადაწყვიტეს, სასამართლო მოეწყოთ ამ თავხედი ჩიტისთვის.“ ვისი დამოკიდებულებაა აქ გამოხატული ჩიტისადმი, ანუ ვინ ფიქრობს, რომ ცასწავალა თავხედია?

ა. მოთხრობის ავტორი;
ბ. მოლაღური;
გ. ის ფრთოსნები, რომლებმაც განიზრახეს ცასწავალას გასამართლება.

4. რატომ იძახდა ცასწავალა ძირს დაშვებისას: „ვტყუი, ვტყუი!“?

ა. ამ შეძახილით მალავდა თავის უღონობას;
ბ. მართლა ტყუოდა და ამ შეძახილით თავის ტყუილს აღიარებდა;
გ. ამ შეძახილით სხვა ფრინველებს აქეზებდა.

5. რომელმა ფრინველმა დაუსვა კითხვები და დაადანაშაულა ცასწავალა?

LIVEWORKSHEETS

6. რა ბრალდება წაუყენეს ცასწავალას ფრინველებმა სასამართლოზე?

ა. ბალახებში დამალვა;
ბ. ცაში დაწესებულ ზღვარზე მაღლა აფრენა;
გ. ფრინველების მოტყუება.

7. **რატომ უნდოდა ცასწავალას მაღლა ცაში აფრენა?**
ა. ფრთოსნებს თავს აწონებდა;
ბ. უბრალოდ ცაში წასვლის სურვილი ჰქონდა;
გ. ცაში სხვა ჩიტი ეპატიჟებოდა.

8. ფრინველებიდან მხოლოდ მოლაღურს შეეცოდა ცასწავალა. დაასაბუთე ეს აზრი (საიდან ჩანს ეს?):

---

9. როდის იჩენს თავს ცასწავალას დაუმორჩილებელი ხასიათი, მედგარი ბუნება?

ა. როცა ცასწავალა ცაში აიჭრება, გასცდება ზღვარს და იმ ტყეში აღარ ბრუნდება, სადაც ის გაასამართლეს;
ბ. როცა ცასწავალა ძირს დაეშვება ძახილით: ვტყუი, ვტყუი!
გ. როცა სასამრთლოზე ცასწავალა ჩუმად ისმენდა ფრთოსნების ბრალდებებს.

10. რა დამოკიდებულებას ავლენს მწერალი ამ პატარა ჩიტის მიმართ?

ა. მწერალი კიცხავს ცასწავალას, არ იწონებს მის საქციელს;
ბ. მწერალი თანაუგრძნობს ამ პატარა ჩიტს;
გ. მწერალი არ ავლენს თავის დამოკიდებულებას ცასწავალას მიმართ.

11. რა მიგვანიშნებს, რომ ცასწავალას თავგადასავალი გამოგონილი ამბავია?

ა. ჩიტს ცასწავალა ჰქვია;
ბ. ჩიტი მთის ფერდობზე ცხოვრობს;
გ. ფრინველები სასამართლოს მართავენ.

LIVEWORKSHEETS

12. ამ მოთხრობის მიხედვით, რა არის მთავარი იმისთვის, რომ დასახულ მიზანს მიაღწიო?

ა. გქონდეს ძალიან დიდი სურვილი;
ბ. იყო ფიზიკურად ძალიან ძლიერი;
გ. მოპოვებული გქონდეს შენს გარშემო მყოფთა მხარდაჭერა.

13. შენ როგორ ფიქრობ, საერთოდ რა არის მთავარი დასახული მიზნის მისაღწევად?

LIVEWORKSHEETS